ინტერნეტ და კავშირგაბმულობის კომპანია
თბილისი 0108
სანაპიროს 8.
ტელ. 48-50-03
ფაქსი 94-31-85
www.service.net.ge

1/89
07.08..09.

აქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავჯდომარეს
ბ-ნ ირაკლი ჩიქოვანს შ.პ.ს. „სერვისის"
ხათუნა პეტრიაშვილის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით ჩაიბაროთ გაფართოებული ურთიერთჩართვის მოწვევის ოფერტა.
ყველა წამოჭრილ საკითხზე მზად ვართ ოპერატიულად გიპასუხოთ 877463819 485009

შ.პ.ს. „სერვისის" დირექტორი: ხ. პეტრიაშვილი

1. ლოკალურ ინტერნეტ ტრაფიკის ურთიერთჩართვის წერტილში მოქმედებს შემდეგი ტექნიკური პარამეტრები: 1000 მბ/წმ – ოპტიკური–ბოჭკოვანი მაგისტრალური ქსელური კაბელის მიერთება, 1000 მბ/წმ – სპილენძის UTP კაბელის მიერთება.
2. ინტერფეისის ტიპები: RJ45 ტიპის ელექტრონული ინტერფეისები.
3. ტექნიკური საშუალების მიხედვით კომპანია მეორე მხარეს აწვდის შესაბამის სერვისს.
4. შ.პ.ს. „სერვისს" ურთიერთჩართვის განხორციელება შეუძლია ქ. თბილისში, რუსთაველის 31 ასს 93, ასს 91, ასს37 კომპანიას მიერთების/დაშვების განხორციელება შეუძლია მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს აქვს აღნიშნულ შენობაში მიერთების/დაშვების საშუალება.
5. შ.პს. „სერვისი" უზრუნველყოფს სერვისის ხარისხს გარდა ფორს–მაჟორული გარემოებებისა.
6. ტექნიკური საშუალებების არ ქონის გამო კომპანია ვერ უზრუნველყობს ტრანზიტულ გატარებას.
7. დამატებითი სიმძლავრის მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია უზრუნველყობს მეორე მხარებს შესაბამისი სერვისით 2 კვირიან ვადაში, თუ არსებობს სერვისის მიწოდების ტექნიკური საშუალება.
8. კომპანიის კუთვნილი აბონენტების ტექნიკური საშუალების მიხედვით კომპანია უზრუნველყობს აბონენტის სრულად მომსახურებას/ტექნიკური გამტარუნარიანობის შესაბამისად.
9. კომპანია მიიღებს ყველა ძალისხმევას რათა არმოფხვრას დაზიანება. დაზიანების პერიოდში უზრუნველყობს არხის ბექაფირებას (შეძლებისდაგვარად). დაზიანების გამოუსწორებლობის შემთხვევაში კომპანია პროპორციულად გადაითვლის დაზიანების პერიოდს შესაბამისი თვის გადასახადისას.
10. მხარეებს შორის მონაცემების გაცვლის პერიოდი განისაზღვრება ორ მხარეს შორის მოლაპარაკების საშუალებით.
11. 2მგბტ/წმ ექვივალენტური ახის ლოკალური ტრაფიკის ღირებულება შეადგენს 10ლარს, ხოლო 1 გბ – ის 5000 ლარს (დღგ–ს გარეშე). ანგარიშსწორების ღირებულების გადახდა წარმოებს საანგარიშსწორებო თვის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
12. შ.პ.ს სერვისს" არ გააჩნია მის კუთვნილებაში არსებული თანალოკაციის ფართი.
13. მოწვევის ოპერტა მოქმედებს 2009წლის 1 ოქტომბრამდე
14. მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება ფინანსური ვალდებულება საანგარისწორებო თვის ოდენობით, ხოლო ზიანის მიყენების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით.
15. ცვლილების ან დამატების შესახებ მეორე მხარემ კომპანიას უნდა აცნობოს 2 კვირით ადრე.